ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

30 ივნისი 2026

N 408

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარებისა და განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის პროგრამის შეთანხმების თაობაზე

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2023 წლის 23 აგვისტოს №ნ-8 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომ — წესი) შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის (შემდგომ — სამსახური) წარდგენილ იქნა, ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (ს/კ: 404921670) 2026 წლის 23 ივნისის განცხადება (რეგისტრაციის N105579/16) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარებისა და განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის პროგრამის შეთანხმების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და წესის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (ს/კ: 404921670) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარებასა და განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის პროგრამის შეთანხმებასთან დაკავშირებული წარმოება.

2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია“ (ს/კ: 404921670) აღიარდეს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად 2026 კალენდარული წლის პერიოდისთვის და შეთანხმებულად ჩაითვალოს 2026 წლის 23 ივნისის განცხადებით (რეგისტრაციის N105579/16) სამსახურისთვის წარმოდგენილი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის პროგრამა.

3. მიენიჭოს ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციას“ (ს/კ: 404921670) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების

აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის ნომერი — SARAS-AMLCFTCPD-09/26.

4. დაევალოს ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციას“ (ს/კ: 404921670) სამსახურთან შეთანხმებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო კურსის პროგრამის საჯაროდ განთავსება.

5. ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (ს/კ: 404921670) მიერ წესის მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

6. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს მონიტორინგი გაუწიონ ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (ს/კ: 404921670) მიერ სამსახურისთვის წარმოდგენილ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების სასწავლო კურსს.

7. ინფორმაცია ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (ს/კ: 404921670) ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით განგრძობითი განათლების მომსახურების მიმწოდებლად აღიარების თაობაზე განთავსდეს სამსახურის ვებგვერდზე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

https://edoc.mof.ge/public/#/408-16-4-202606301216

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/შტამპი QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE